შპს სეტანტა სპორტს მედია

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

გვერდი

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	12-19

1.	ზოგადი ინფორმაცია	7
2.	შესაბამისობის ანგარიში	8
3.	მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკები	8
4.	კრიტიკული შეფასებები და შეფასებების განუსაზღვრელობის უმთავრესი წყაროები	11
5.	შემოსავალი	12
6.	თვითღირებულება	12
7.	ადმინისტრაციული ხარჯები	12
8.	ძირითადი საშუალებები	13
9.	გაცემული სესხები	13
10.	მიღებული სესხები	13
11.	ფული და ფულის ექვივალენტები	Error! Bookmark not defined.4
12.	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	14
13.	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	14
14.	ფინანსური ინსტრუმენტები	15
15.	ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	18
16.	პირობითი ვალდებულებები	19
17.	ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან	Error! Bookmark not defined.

5-19 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სეტანტა სპორტს მედია
სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ლარში

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	10,281,694	4,914,125
თვითღირებულების ხარჯები	6	(5,599,065)	(3,520,594)
საერთო მოგება		4,682,629	1,393,531
სხვა შემოსავლები		-	-
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები		(108,828)	(44,230)
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,092,122)	(981,892)
საოპერაციო მოგება		1,481,679	367,409
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		78,911	192,958
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი		(241,644)	(228,728)
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა ზარალი		129,191	(303,495)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		2,479	2,717
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(524)	(51,710)
მოგება დაბეგვრამდე		1,450,092	(20,848)
მოგების გადასახადის ხარჯი		(167,339)	-
წმინდა (ზარალი)/ მოგება		1,282,753	(20,848)

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____

მთავარი ბუღალტერი _____

5-19 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სეტანტა სპორტს მედია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	1,516,140	6,748
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,516,140	6,748
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	12	528,557	-
გაცემული სესხები	9	1,344,482	2,793,722
წინასწარ გადახდილი ხარჯები		-	-
ფული და ფულადი ექვივალენტები	11	40,361	919,809
სულ მიმდინარე აქტივები		1,913,400	3,713,531
სულ აქტივები		3,429,540	3,720,279
ვალდებულებები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10	-	2,249,276
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	2,249,276
მიღებული ავანსები		111,157	111,157
საგადასახადო ვალდებულებები		167,457	186,290
მოკლევადიანი სესხები	10	2,093,357	748,813
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	336,660	351,413
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,708,631	1,397,674
სულ ვალდებულებები		2,708,631	3,646,950
საწესდებო კაპიტალი		66,779	-
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		654,130	73,329
სარეზერვო კაპიტალი		-	-
სულ კაპიტალი		720,909	73,329
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,429,540	3,720,279

5-19 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სეტანტა სპორტს მედია
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ლარში

	საწესდებო კაპიტალი	*დაგროვილი მოგება*	*სულ კაპიტალი*
2019 წლის 31 დეკემბერს	-	94,178	94,178
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	(20,848)	(20,848)
2020 წლის 31 დეკემბერს	-	73,329	73,329
წლის სხვა სრული შემოსავალი	66,779	1,282,754	1,349,533
გადახდილი დივიდენდი	-	(701,953)	(701,953)
2021 წლის 31 დეკემბერს	66,779	654,130	720,909

5-19 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სეტანტა სპორტს მედია
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ლარში

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		1,450,092	(20,848)
კორექტირებები:		-	-
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი		(129,191)	303,495
ცვეთა და ამორტიზაცია		32,594	-
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		(78,911)	(192,958)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი		241,644	228,728
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე საოპერაციო ზარალი		1,516,228	318,416
საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები			
ცვლილება ძირითად საშუალებებში		(1,541,986)	(6,596)
ცვლილება ავანსებსა და სხვა მიმდინარე აქტივებში		-	(22,429)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(14,753)	404,964
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(528,557)	1,763,608
ცვლილება სხვა მიმდინარე ვალდებულებებში		(18,833)	120,744
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		(587,901)	2,578,706
გადახდილი პროცენტი		(179,672)	(228,728)
გადახდილი მოგების გადასახადი		(167,339)	-
მიღებული პროცენტი		-	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(934,912)	2,349,978
საინვესტიციო საქმიანობა			
სესხების გაცემა	9	(37,781)	(2,200,721)
გაცემული სესხების მიღება	9	1,565,932	661,001
გაცემული დივიდენდი		(701,953)	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება		66,779	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		892,977	(1,539,720)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
სესხის მიღება	10	2,126,426	2,879,604
მიღებული სესხების დაფარვა	10	(2,922,397)	(2,817,157)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(795,971)	62,448
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა		(837,907)	872,706
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(41,541)	38,088
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	11	919,809	9,014
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით		40,361	919,809

5-19 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სეტანტა სპორტს მედია
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ლარში

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სეტანტა სპორტს მედია(შემდგომში „კომპანია") დარეგისტრირებულია 2018 წლის 5 მარტს და საქმიანობას ეწევა „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად . კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სპორტულ არხებზე სარეკლამო დროის გაყდვას ქვეყნის გარეთ. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მიხეილ ასათიანის ქ., N 10, ბინა N150 შპს სეტანტა სპორტს მედია მომხმარებლებს სთავაზობს Setanta Sports, რაც არის ციფრული გამოწერითი სერვისი, რომელიც ორიენტირებულია სპორტის ქომაგებისთვის ექსკლუზიური და მრავალფეროვანი სპორტული კონტენტის მიწოდებაზე. Setanta Sports მომხმარებლებს სთავაზობს წვდომა ვიდეოების ვრცელ ბიბლიოთეკაზე და live ტრანსლაციების ფართო სპექტრზე, მათ შორის უმნიშვნელოვანესი სპორტული შეჯიბრებების Live სტრიმებზე.

კომპანიის 100 % იანი წილის მფლობელი და დირექტორია ლაშა მაჭავარიანი,

2. შესაბამისობის ანგარიში

მომზადების საფუძვლები.

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შევიდა , რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2" (შესწორება- ფასს9, ბასს 39 და ფასს 7) ;
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილების ფასს 16-ში);
- ბასს 1- ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 -სააღრიცვხო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება) ; და
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიამ გადაწყვიტა ნაადრევად არ მიეღო ის ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომელიც გამოიცა IASB -ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტარების საბჭო) მიერ. თუმცა ჯერ არ არის შესული ძალაში. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ სიახლეებიდან არის ქვემოთ ჩამოთვლილი შესწორებები და ისინი ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვრიდან:

- წამგებიანი ხელშეკრულებები- ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები) ;
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16 -ის ცვლილებები) ;
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018 -2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში) ; და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3 -ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1- ში , რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისათვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით ვალდებულებების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა" მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პრიბოით , რომელიც კლაისიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისაგან განცალკევებით.

2. შესაბამისობის ანგარიში (გაგრძელება)

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში, თუმცა 2020 წლის მაისში ბასს 1- ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ელ იანვრამდე.

ამჟამად კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

სხვა

კომპანია არ ვარაუდობს, რომ ბასსკ- ის მიერ გამოშვებულ სხვა სტანდარტებს, რომლების ჯერ ძალაში არ არის შესული, ექნება არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3.მნიშნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძვლები. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. სააწგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითაროონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა,რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 3.0976 და 3,2766 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება დროთა განმავლობაში რადგან მომხმარებელი იღებს და მყისიერად მოიხმარს მიღებულს სარგებელს, კომპანიის მხრიდან შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისთანავე.

მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში კომპანია წარმოადგენს მარწმუნებელს. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისთვის მომსახურების გაწევასა და ანაზღაურებას შორის პერიოდი არ აჭარბებს ერთ წელს, შესაბამისად არ ხდება გარიგების ფასის კორექტირება ფულის დროითი ღირებულებიდან გამომდინარე.

დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტად არ განიხილება მომსახურების ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ მიღებული ავანსები, თუ მომხმარებელი განსაზღვრავს საქონლის ან მომსახურების გადაცემის დროს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშვება მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. მიწოდებული პროდუქტის თვითღირებულების ჩამოწერა ხარჯებში აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მისი დარიცხვისას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შედის.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.
საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.
საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულად.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი ტერმინები.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ამორტიზირებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნესმოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.
კომპანია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის იყენებს გამარტივებულ მიდგომას. აღნიშნული ეხება ისეთ ხელშეკრულებს, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ

წელზე ნაკლებია. ერთ-ერთი ამგვარი გამარტივებული მიდგომის მაგალითია მოთხოვნისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა ანარიცხების (რეზერვების) მატრიცის გამოყენებით. კომპანია იყენებს

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს მოთხოვნისთვის 12-თვიანი საკრედიტო ზარალის, ან ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, შესაბამისად.
ამორტიზებადი ღირებულებით დაკლასიფიცირებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფულს და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები არის ადვილად გაცვლადი წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე 3 თვემდე დაფარვის ვადით და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. კომპანია არ ფლობს ფინანსური ვალდებულებებს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემგომ შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე დაფარვის ვადით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (მათ შორის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ბალანსები ბანკებში) აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისშვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები" თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:
ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირადაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირადპირ სარგებლობენ ეს პირები.
როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

4. კრიტიკული შეფასებები და შეფასებების განუსაზღვრელობის უმთავრესი წყაროები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას , ფიზიკურ ცვეთას და გარემოს რომელში ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობების თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია ხელმძღვანელობს „ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების" (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9 -ის მიხედვით ზარალის ანარიცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად:
ა) 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

კომპანია გამოავლენს გარკვეულ ძირითად ეკონომიკურ ცვლადებს, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკსა და ECL-თან. საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი")მიიღება კომპანიისაგან და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას მომდევნო 5 წელში.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ როდესაც ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისთვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო

ზარალი კომპანიას შეუძლია განსაზღვროს , რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის

4. კრიტიკული შეფასებები და შეფასებების განუსაზღვრელობის უმთავრესი წყაროები (გაგრძელება)

პერიოდისთვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე.

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა დიდწილად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან. საგადასახადო შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს საგადასახადო შემოწმების წლამდე სამი კალენდარული წლის ტოლი ფისკალური პერიოდები. გარკვეულ ვითარებაში, შემოწმებამ შეიძლება მოიცვას უფრო დიდი პერიოდიც. ამოსაღებია თუმცა, კომპანია დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება საგადასახადო კანონმდებლობის მისეული გაგების საფუძველზე, ზემოაღნიშნულს შეუძლია კომპანიისათვის დამატებითი ფინანსური რისკების შექმნა.

5. შემოსავალი

	2021	2020
შემოსავალი სარეკლამო მომსახურების გაყიდვიდან	10,281,694	4,914,125
სხვა შემოსავალი	-	-
სულ	10,281,694	4,914,125

6. თვითღირებულება

	2021	2020
სარეკლამო დროის თვითღირებულება	5,599,065	3,520,594
სხვა	-	-
სულ	5,599,065	3,520,594

7. ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	2,493,074	734,965
მივლინების ხარჯი	144,142	15,335
საკონსულტაციო იურიდიული და თარგმნის მომსახურების ხარჯები	236,310	198,809
საიჯარო ქირა	74,444	-
ცვეთა და ამორტიზაცია	32,594	2,307
დაცვის ხარჯი	24,407	19,864
კომუნიკაციის ხარჯები	16,922	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	16,369	-
ბანკის მომსახურების საკომისიო	8,728	8,002
ავტომობილის ხარჯი	7,449	-
კომუნალური ხარჯი	5,600	-
ქონების გადასახადი	5,013	-
სხვა	27,070	2,608
	3,092,122	981,892

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება					
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	-	4,899	2,787	-	7,686
დამატება	1,006,160	15,393	35,277	484,243	1,541,073
ჩამოწერა	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	1,006,160	20,292	38,064	484,243	1,548,759
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	-	(729)	(209)	-	(938)
ცვეთის ხარჯი	-	(1,591)	(3,124)	(26,964)	(31,679)
შემცირება ჩამოწერის შედეგად	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	-	(2,320)	(3,333)	(26,964)	(32,617)
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2020	-	4,170	2,578	-	6,748
31 დეკემბერი 2021	1,006,160	17,972	34,731	457,279	1,516,142

9. გაცემული სესხები

გაცემული სესხების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
1 იანვარი	2,793,723	1,061,018
სესხის გაცემა	37,781	2,200,720
პროცენტის დარიცხვა	78,911	192,958
სესხის მიღება	(1,565,932)	(661,001)
გადაფასება	-	27
31 დეკემბერი	1,344,482	2,793,722

10. მიღებული სესხები

მიღებული სესხები	31.12.2021	31.12.2020
მოკლევადიანი სესხები		
ფინანსური ინსტიტუტები	2,069,197	724,653
სხვა	24,160	24,160
სულ	2,093,357	748,813
გრძელვადიანი სესხები		
ფინანსური ინსტიტუტები	-	2,249,276
სხვა	-	-
სულ	-	2,249,276

10. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებული სესხების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
1 იანვარი	2,998,089	2,623,946
სესხის მიღება	2,126,426	2,879,604
პროცენტის დარიცხვა	241,644	228,728
სესხის დაფარვა	(2,922,397)	(2,817,157)
პროცენტის გადახდა	(179,672)	(228,728)
გადაფასება	(170,732)	311,696
31 დეკემბერი	2,093,357	2,998,089

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული	-	2,400
ფული ბანკში ეროვნული ვალუტა	2,609	72
ფული ბანკში უცხოური ვალუტა	37,752	917,337
სულ	40,361	919,809

12. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური აქტივები		
მოთხოვნების საწარმო პერსონალის მიმართ	-	-
სხვა მოთხოვნები	13,070	-
არაფინანსური აქტივები		
გაცემული ავანსები	515,487	-
სულ	528,557	-

13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	313,229	337,938
სხვა ვალდებულებები	23,431	13,476
სულ	336,660	351,413

14. ფინანსური ინსტრუნენტები რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე
· საკრედიტო რისკი

· ლიკვიდურობის რისკი

· საბაზრო რისკი: - სავალუტო რისკი

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.
კომპანიისთვის რისკის წარმომქმნელი ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებია:
· ფული და ფულის ეკვივალენტები

· სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

· გაცემული სესხები

· სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

· მიღებული სესხები

ყველა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფული და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო ¯მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. საიჯარო ვალდებულებები შეფასებულია რეალური ღირებულების მეორე დონეზე.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.
კომპანიის ხელმძღვანელობა ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

კომპანიის ხელმძღვანელობა საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არ დაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშვება, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები. მენეჯმენტმა შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება.
მენეჯმენტი საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ დონეს.

14. ფინანსური ინსტრუმენტები რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.
ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება წარმოადგენს 1 წლამდე ლიკვიდურობას, გარდა მიღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილისა რომელიც წარმოადგენს 1-დან 5 წლამდე ლიკვიდურობას. ლიკვიდობის სხვაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021		
	1 წლამდე	1 და 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	40,361	-	40,361
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	13,070	-	13,070
გაცემული სესხები	1,344,482	-	1,344,482
	1,397,913	-	1,397,913
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	2,093,357	-	2,093,357
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	336,660	-	336,660
	2,430,017	-	2,430,017
ლიკვიდობის სხვაობა	(1,032,104)	-	
დაგროვილი ლიკვიდობის სხვაობა	(1,032,104)	(1,032,104)	

	2020		
	1 წლამდე	1 და 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	917,409	-	917,409
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	-	-
გაცემული სესხები	2,793,722	-	2,793,722
	3,711,131	-	3,711,131
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	748,813	2,249,276	2,998,089
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	351,413	-	351,413
	1,100,227	2,249,276	3,349,502
ლიკვიდობის სხვაობა	2,610,904	(2,249,276)	
დაგროვილი ლიკვიდობის სხვაობა	2,610,904	361,628	

14. ფინანსური ინსტრუმენტები რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.
საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი (ცვლადი მნიშვნელობით), რომელიც დაკავშირებულია მიღებულ სესხებთან, რადგანაც განაკვეთი არის ცვალებადი. კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალდებულებები და აქტივები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	2,609	37,752	40,361
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	13,070	-	13,070
გაცემული სესხები	1,344,482	-	1,344,482
	1,360,161	37,752	1,397,913
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	24,160	2,069,197	2,093,357
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	24,201	312,459	336,660
	48,361	2,381,656	2,430,017
ღია საბალანსო პოზიცია	1,311,800	(2,343,904)	(1,032,104)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

14. ფინანსური ინსტრუმენტები რისკების მართვა (გაგრძელება)

	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	2,472	917,337	919,809
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	-	-
გაცემული სესხები	2,793,722	-	2,793,722
	2,796,194	917,337	3,713,531
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	24,160	2,973,929	2,998,089
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	14,795	336,619	351,413
	38,955	3,310,548	3,349,502
ღია საბალანსო პოზიცია	2,757,240	(2,393,211)	364,028

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2021		31 დეკემბერი 2020	
	20%	-20%	20%	-20%
დოლარის ეფექტი (ზარალი) მოგება	(468,781)	468,781	(478,642)	478,642

15. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის მანძილზე კომპანიამ დაფარა ხალიკ ბანკთან გაფორმებული სესხის ხელშეკრულების ფარგლებში 2,181,763 ლარი.

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ გაცემული სესხის ფარგლებში მიიღო 2,087,237 ლარი.

16. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები სამი წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო , მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

დივიდენდის განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.
პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გაუნაწილებელი მოგებიდან განაწილებული დივიდენდების შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 98,119 ლარი.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას დაკავშირებული მხარეების მიმართ ნაშთები და ოპერაციები არ უფიქსირდება, გარდა დამფუძნებელზე გაცემული სესხისა რომლის ნაშთიც წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	
	დამფუძნებელი	სხვა დაკავშირებული მხარე
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	-	750,966
სრული შემოსავლის ანგარიშგება	105,036	247,433

	2020	
	დამფუძნებელი	სხვა დაკავშირებული მხარე
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	565,332	1,713,785
სრული შემოსავლის ანგარიშგება	86,192	187,367

უმაღლესი ხელმძღვანელი პირების 2021 და 2020 წლის მოკლევადიანი გასამრჯელო შეადგენდა: 1,865,685 და 540,663 ლარს, წლების შესაბამისად.